



## სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

11 მარტი 2025



N 6/1

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამოქმედო გეგმის (2025 წლისათვის) დამტკიცების თაობაზე

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, მესამე პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის N177-ე დადგენილებით დამტკიცებული დებულების მესამე მუხლის მეორე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამოქმედო გეგმა 2025 წლისათვის, თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზაზა ვაშაყმაძე

8. კ. მუხომბე

თავმჯდომარე





**სსიპ რელიგიის საკითხთა  
სახელმწიფო სააგენტო**

**შებლდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის  
სამოქმედო გეგმა 2025 წლისათვის**

## Contents

შესავალი.....	2
საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა.....	2
სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხედვა .....	3
სამოქმედო გეგმა .....	4
მონიტორინგი და ანგარიშგება .....	4

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმას 2025 წლისთვის.

დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2025 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. აღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შშმ პირთა უფლებების დაცვას და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნას.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შიდა სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ, სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგიონების და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურები. უწყებათაშორისი კოორდინაციის ფარგლებში, დოკუმენტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. პრინციპის „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“ აღსრულების მიზნით, აღნიშნული სამოქმედო გეგმა წარედგინება შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და შშმ თემის წარმომადგენლებს, აგრეთვე უზრუნველყოფილი შშმ პირთა აქტიური მონაწილეობა შემდგომი სამოქმედო გეგმების შესამუშავებისას.

## საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტები და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

სამოქმედო გეგმა ერთის მხრივ, ეყრდნობა ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტს, როგორცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, ხოლო მეორეს მხრივ, ეროვნულ კანონმდებლობას, როგორცაა საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (თანასწორობის უფლება) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიერ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“ 2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის<sup>1</sup> (UN CRPD) რატიფიკაცია განახორციელა, რითიც ქვეყანამ აღიარა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და აიღო რიგი ვალდებულებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შებლუდული შესაძლებლობის მქონე.

პირთა უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების გზით, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებითა და შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის ცვლილებით.

გაეროს „შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე და მიზნად ისახავს შშმ პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას შეიმუშაონ შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმები.

## სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხედვა

განვითარებული დასავლური სახელმწიფოების გამოცდილებათა გაზიარებით, ხელი შეუწყოს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების აღიარების დამკვიდრებასა და პატივისცემას და რელიგიის სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს.

აღნიშნული ხედვის განსახორციელებლად, „შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის და „შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო შეიმუშავებს შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2025 წლისთვის.

---

<sup>1</sup>The United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities

## სამოქმედო გეგმა

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა 2025 წლისათვის

მიზანი 1.	შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა რელიგიური უფლებების დაცვა			
ამოცანა 1.1	შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა ხელმისაწვდომობის გაზრდა სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პროექტებზე			
აქტივობა 1.1  სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რიგი ყოველწლიური პროექტების (ინტერრელიგიური კალენდარი, რელიგიური წიგნები) შპმ პირებისათვის ადაპტირებული (ბრაილის შრიფტით) გამოცემა	<b>შედეგის ინდიკატორი:</b>	<b>დაფინანსების წყარო</b>		
		ბიუჯეტი/საბიუჯეტო კოდი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
	1. 2025 წლის ინტერრელიგიური კალენდრის ბრაილის შრიფტით გამოცემა;	კოდი: 50 00;  ადმინისტრაციული რესურსი;		
	2. ბიბლიის მეექვსე კანონიკური წიგნის „იესო ნავეს ძე“-ს ბრაილის შრიფტით გამოცემა. (2 ნაწილი)	კოდი: 50 00;  ადმინისტრაციული რესურსი;		
	<b>პასუხისმგებელი უწყება:</b> სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო			
<b>პარტნიორი უწყება:</b> სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბირო				

## მონიტორინგი და ანგარიშგება

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.

„შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობას გაუწევს კანონით განწერილი ვალდებულებების შესრულებას.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშში.